

# ნუცა ლოლობერიძე - დაკარგული წლები და სცენარები

ეკა კონტრიძე

**საკვანძო სიტყვები:** პირველი რეჟისორი ქალი, ნუცა ლოლობერიძე, რეპრესიები, საბჭოთა ცენზურა, აკრძალული სცენარები და ფილმები

ფოტოზე უზბეკურ სამოსში ჩაცმული ახალგაზრდა, ლამაზი ქალია აღბეჭდილი. ცოცხალი, ღრმადღაფიქრებული თვალებით. ამ მხერაში ბევრი რამის დანახვა შეიძლება - სევდა, მომავლის შიში, იმედი, ერთდროულად სისუსტეც და სულიერი სიმტკიცეც, სიტბოცა და დიდი სიყვარულის ენერჯია... ნუცა (ნინო) ხუციშვილი - ლოლობერიძე, დაუჯერებელი თავგადასავლის ახალგაზრდა ქალი.

ამ ახალგაზრდა ქალმა წარმოუდგენელი შეძლო, გადაიტანა ბევრი ტკივილი, დამცირება, უიმედობა. სიკვდილის პირას მყოფი ყოველთვის პოულობდა საკუთარ თავში სიცოცხლის სიყვარულის ძალას. ბოლომდე ღირსეულად, ჩუმად და უშეცდომოდ გაიარა მისთვის განკუთვნილი მძიმე გზა - ცხოვრება.

წარჩინებით დაამთავრა თბილისის გიმნაზია, დაამთავრა ჯერ თბილისისა და იენის უნივერსიტეტების ფილოსოფიის ფაკულტეტები. იცოდა რუსული, გერმანული და ფრანგული ენები. სამშობლოში დაბრუნებული კინოხელოვნებას დაუკავშირდა და გადაიღო 3 ფილმი. დოკუმენტური - „მათი სამეფო“, „ბუბა“ და მხატვრული - „უუმური“.

ნუცა ლოლობერიძის ფილმოგრაფიაში, პირველ ნამუშევრად მითითებულია „მათი სამეფო“ (1928) მიხეილ კალატოზიშვილთან ერთად, მხატვარი - დავით კაკაბაძე. ამ სახელწოდების სცენარი, ისევე, როგორც სცენარის ან ფილმის განხილვის ოქმები არქივებში ვერ ვიპოვე, მაგრამ ეროვნულ არქივში არსებობს „სახკინმრეწვის“ კადრების განყოფილების შედგენილი დოკუმენტი - „ბიოგრაფიული ცნობები სახკინმ-

რეწვში მომუშავე რეჟისორების, რეჟისორის-თანამშემწეების და ოპერატორების შესახებ“.

ნუცა ლოლობერიძის შესახებ ვკითხულობთ: „გვარი, სახელი, მამის სახელი - ლოლობერიძე ნინო ბართლომეს ასული. რა სურათებში იღებდა მონაწილეობას - „ახალი მფრინავი“ მენშევიკური ეპოპეა“.<sup>1</sup>

ეროვნულ არქივში ასევე ინახება კარლო გოგოძის წერილი, რომელშიც ის ასახელებს ნუცა ლოლობერიძის, 1928 წელს გადაღებულ პირველ ფილმს „18-28“.

„ფილმი „18-28“ (1928 წ.), რომლის თანადადგმელიც ის იყო, რომელიც საქ. საბჭ. სოც. რესპ. კულტურულ-ეკონომიკური განვითარების პროცესებს ასახავდა, ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის 20-იანი წლების საეტაპო ნაწარმოებს წარმოადგენდა“.<sup>2</sup>

ფიქრობ, „მათი სამეფო“, „ახალი მფრინავი“ და „18-28“ ერთი და იგივე ფილმებია, სხვადასხვა სახელწოდებით. ალბათ, „ახალი მფრინავი“ და „18-28“ სამუშაო ვერსია იყო, ფილმს საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს ორიოდ წლის წინათ, რუსეთის ფილმსაცავიდან ჩამოტანილ ფირთან. ეს არაა დოკუმენტური ქრონიკა, არც „მენშევიკური ეპოპეა“ და არც „საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების პროცესებს“ ასახავს

ნუცა ლოლობერიძის მომდევნო ფილმია 1930 წელს გადაღებული, 5-ნაწილიანი დოკუმენტური ფილმი „ბუბა“. ბუბა რაჭის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალია, პროპაგანდისტული და სააგიტაციო ფილმი, ერთი მხრივ, რაჭის ულამაზეს ბუნებას, სამკურნალო წყლებს გვაცნობს და მეორე მხრივ, სოფელ ღების, ზოგადად რაჭის მთიანი რეგიონის მძიმე ცხოვრებას ასახავს.

1 ბიოგრაფიული ცნობები. ფონდი-141, ან-1; საქმე-956; გვ-18  
2 კ. გოგოძის წერილი ნ. ლოლობერიძის გარდაცვალების გამო 3. 09. 1966 წელი. ფონდი-169; @4; ან-552; ფურ-1-2.

ძველისა და ახლის დაპირისპირების ხერხი, საბჭოთა აგიტფილმისთვის დამახასიათებელი აუცილებელი ფორმა იყო. ტიტრებიდან ვიგებთ, რომ ახალმა საბჭოთა საქართველომ რაჭის მოსახლეობის რთული ცხოვრება შეცვალა. ბუნება მოთვინიერდა, აშენდა ჰესები, კაშხალები, კურორტები, ახალი წყობის დამსახურებით, მშრომელებმა გაჭირვება დაივიწყეს.

მხატვარმა დავით კაკაბაძემ და ოპერატორმა სერგეი ზაბოზლაევმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს ფილმის მხატვრული სახე. ამბის თხრობა სისადავითა და, ამავე დროს, სიმძაფრით მიმდინარეობს. ბევრია საინტერესო რაკურსი, ულამაზესი ხედები, გამოკვეთილი უბრალო ადამიანების ხასიათები, კოლორიტული პერსონაჟები.

„ბუბა“ ექსპერიმენტებისა და შემოქმედებითი ძიების ნიმუშია, რომელიც განსხვავდება საბჭოთა ცხოვრების „შელამაზებული კინოს“ სტილისაგან.

ფილმის შესახებ ეროვნულ არქივში ერთადერთი ცნობა ინახება. ესაა „საქართველოს კინომრეწვის სააქციო საზოგადოების საინფორმაციო ბიულეტენში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელშიც ვკითხულობთ: „ბუბა“ - მხატვრული კულტურ-ფილმი. სცენარი და დადგმა - ნინო ლოლობერიძე, ოპერატორი - ს. ზაბოზლაევი, მხატვარი - დ. კაკაბაძე. მთ. როლში - მსახიობი პ. ჭიჭინაძე. დასრულებულია და თებერვლის თვეში გამოდის გაქირავებაში“.<sup>3</sup>

1933-1934 წლებში ნუცა ლოლობერიძე მუშაობდა მხატვრულ ფილმზე „უქმური“. სცენარის ავტორები არიან: შალვა დადიანი და ნუცა ლოლობერიძე, ოპერატორი - შალვა აფაქიძე, მხატვრები - პეტრე ოცხელი და მიხეილ გოცირიძე. მონაწილეობენ მსახიობები: კოტე დაუშვილი, მერაბ ჩიქოვანი, ნუცა ჩხეიძე, ივლიტა ჯორჯაძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვები.

სცენარზე მუშაობა გაუთავებელი გადაკეთებებით, ჩასწორებებით მიმდინარეობდა, რადგან საბჭოთა სახელმწიფოს „მაღალ-მხატვრული და იდეოლოგიურად სწორი“ ფილმი სჭირდებოდა. მოთხოვნა იყო, რომ რეჟისორს უნდა გადაეღო ხაზგასმით „სოცრეალისტური“ ფილმი კოლხეთის დაბლობზე ჭაობის დაშრობის შესახებ.

კოლხეთის დაბლობზე ჭაობის ირგვლივ მალა-

რია იყო გავრცელებული. საბჭოთა მთავრობა, ჭაობის ამოსაშრობად და სენის დასამარცხებლად, ველზე არხის მშენებლობას იწყებს. კულაკი ფარნა არხის ახალგაზრდა მშენებლებს - ქავთარს და გვადის - ჭაობში შეიტყუებს. დასალუბად განწირულ ქავთარს კომკავშირელები გადაარჩენენ.

ფილმის მიხედვით, სამეგრელოში არსებობდა ლეგენდა, რომ კოლხეთის ჭაობს მწვანე დედოფალი, დიდი გომბეშო სახელად უქმური იცავს. ვინც ჭაობს მიუახლოვდება, იტაცებს და ჭაობში ახრჩობს. ნუცა ლოლობერიძემ ფილმში ამ ლეგენდის ვარიაცია მოახდინა და შესანიშნავად მოარგო „საბჭოთა სისტემის წარმატებული მშენებლობის“ ამბავს.

„უქმურის“ განხილვაზე, ნუცა ლოლობერიძე ასე ხსნის ლეგენდის ეპიზოდს: „ჩემს ფილმში მე მსურდა ლეგენდის წარმოშობისა და მნიშვნელობის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები გამეხსნა. იმ დროს, როდესაც კულაკს არ შეუძლია ფიზიკურად წინააღმდეგობა გაუწიოს საბჭოთა სისტემას, ბრძოლის სხვა საშუალებას იწყებს და იდეოლოგიურად ეწინააღმდეგება მას. და აქ მისი წინააღმდეგობა უფრო ძლიერია, ვიდრე ფიზიკური.“<sup>4</sup>

საქართველოს ცენტრალურ არქივში, ამ ფილმის შესახებ მივაკვლიე საქართველოს „სახკინმრეწვთან“ არსებული სამხატვრო საბჭოს სხდომის ჩანაწერს, რომელიც 1933 წლის 15 აპრილს გაიმართა. სხდომას ესწრებიან: ხაჩიძე, მგალობლიშვილი, იუდინი, არსენიშვილი, შკლოვსკი, ლოლობერიძე, დოლიძე, რონდელი, მოსაშვილი, მიხელიძე, ნოდია, მდივანი. კიდევ სხვა 6 სცენართან ერთად, პირველ საკითხად წარმოდგენილია ნუცა ლოლობერიძის სცენარი „უქმური“. სხდომამ დაადგინა: „სცენარის წარმოდგენილი ვარიანტი ჩაითვალოს წარმოებისათვის სავსებით მისაღებად. შეეთავაზოს ამხანაგ ლოლობერიძეს, სცენარის კადრიებისას გაითვალისწინოს საქართველოს სახ. კინ. მრეწვთან არსებული სამხატვრო ბიუროს სხდომის მითითებები“.<sup>5</sup>

ამ სცენარის მოსმენა ისევ გაიმართა 1933 წლის 29 სექტემბერს. დაადგინეს:

1. სახ. კინ. მრეწვის სამხატვრო საბჭოს მიერ „უქმურის“ დასრულების საბოლოო თარიღად და-

3 საინფორმაციო ბიულეტენი. (26.02.1930) ფ-284, ან-1, საქ-1709

4 ნუცა ლოლობერიძის ფილმის „უქმურის“ განხილვა. ფონდი-52; ან-1; საქ-1,2. ფ.10, 23, (15.04.1933წ.)

5 იქვე.

სახელდეს 15 ოქტომბერი. 20 ოქტომბერს კი ფილმი ლოლობერიძესა და აფაქიძესთან ერთად გაიგზავნოს მოსკოვში.

2. დაევალოს ამხანაგ მუჯირს, 8 დღის ვადაში შეასრულოს რეჟისორ ლოლობერიძის შეკვეთა ფილმზე „უჟმური“ წარწერებით გაფორმებასთან დაკავშირებით.

3. ამხანაგ გოგელიას პირადი პასუხისმგებლობით, ფილმის „უჟმური“ ყველა დაწუნებული ნაწილები გადაიბეჭდოს, როგორც ლაბორატორიის წუნი.<sup>6</sup>

ერთი შეხედვით, ფილმი თითქოს დასრულებულია და საკამათო არაფერია, მზადაა მოსკოვში, მთავარი ცენზურის წინაშე წარდგეს, მაგრამ 1933 წლის 21 ოქტომბერს, ანუ მოსკოვში წასვლის ოფიციალური თარიღიდან ერთი დღის შემდეგ, ჩატარებულია კიდევ ერთი „სამხატვრო პოლიტ. საბჭოს სხდომა“. მთავარი კი ისაა, რომ სხდომის თავმჯდომარეა ვსევოლოდ მერკულოვი - სახელმწიფო უშიშროების 1-ლი რანგის კომისარი, საქართველოს კპ ცკ განყოფილების გამგე (1921-1938), სსრკ შს სახკომის 1-ლი მოადგილე (1938-1941).

სხდომაზე მხოლოდ ნუცა ლოლობერიძის „უჟმურის“ ჩვენება და განხილვა ხდება. გამომსვლელები უკიდურესად გამოუვალ მდგომარეობაში არიან. ვერც ბოლომდე აძაგებენ ფილმს და ვერც უარყოფენ მის მხატვრულ ღირებულებას, რადგან არ იციან მთავარი - თავმჯდომარე მერკულოვის „განაჩენი“. ამიტომ გამოსვლები ფრთხილი და წინააღმდეგობრივია.

განხილვაზე, პირველი სიტყვით გამოდის ამხ. მგალობლიშვილი. ... „თავიდან, სცენარი შეიქმნა კულტურ-ფილმის დადგმისთვის, მაგრამ როდესაც კურსი შეიცვალა მხატვრულ ფილმისაკენ - დაიწყო სცენარის უსასრულო გადაკეთებები, რადგან ის ადაპტირებული ყოფილიყო მხატვრული სურათის დადგმისთვის. ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობდით, რათა მიგველო საინტერესო სიუჟეტი. შედეგად, სცენარი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა და ეს სიმძიმე აისახა სურათზეც. თუ გავითვალისწინებთ სცენართან დაკავშირებულ მთელ ამ ისტორიას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ სურათი კარგი გამოვიდა. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ სამხატვრო საბჭოს ყველა შესწორება რეჟისორმა გაითვა-

ლისწინა“.<sup>7</sup>

შემდეგ სიტყვით გამოდის ამხანაგი შენგელაია. „... ჩვენ უნდა გავარკვიოთ რეჟისორის სამუშაო პირობები, შემდეგ კი შევაფასოთ იგი, როგორც მხატვარი, მოცემულ პირობებში მისი მუშაობის შედეგების მიხედვით. ნანახი სურათის შექმნის ისტორიით ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, მას ჩვენ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ და გავაკეთოთ საჭირო დასკვნები“.

მცირე შენიშვნების შემდეგ შენგელაია ამთავრებს - „...მან შეასრულა ნამუშევარი გონივრულად, შეგნებულად, მისი შესაძლებლობების ფარგლებში მხატვრულად. ჩვენ ვხედავთ, რომ რეჟისორს აქვს დიდი გემოვნება და კარგი ოსტატობა. მთელ რიგ სცენებში ჩვენ ვხედავთ რეჟისორის სიმტკიცეს, რეჟისორის ფსიქოლოგიას. ის ფლობს ემოციას გარკვეულ მდგომარეობაში და გარკვეულ ხანგრძლივობაში“, „... საუკეთესო პირობებში, მას შეუძლია შექმნას სრულფასოვანი მაღალმხატვრული სურათი“.

ლეო ესაკიას გამოსვლა განსხვავდება ყველა წინამორბედისგან. - „...მე არ ვეთანხმები სხვა ამხანაგებს, რომლებიც აქ საუბრობენ. მსურს სურათი შევაფასო, როგორც უბრალო მაყურებელმა“ - და აქ იწყება ფილმის ისეთი შეფასება, რომელიც ნამდვილად განსხვავდება ჩვეულებრივი რიგითი მაყურებლის შეფასებისაგან და „იდეოლოგიური სახის ხარვეზების“ არსებობაზე მიუთითებს. ნუთუ ვერ ხვდება, რომ მერკულოვის გასაგებად აღნიშნული მისი „შენიშვნები“ ნუცა ლოლობერიძისთვის შეიძლება დამლუპველიც იყოს?!

„...სურათის იდეური ღირებულება არ არის მხოლოდ ცხოვრების ასახვა, არამედ ასახოს მიზანდასახულობა. ჩვენ ვაჩვენებთ კოლხეთს სოციალურ კონტექსტში და უნდა ითქვას, რომ ამ სურათის ტენდენცია არასწორია, ის არასწორად ასახავს რეალობას და ასევე იძლევა არასწორ მიმართულებას. სურათზე ნაჩვენები ყოველდღიური ცხოვრება ეს არ არის თანამედროვე სამეგრელოს ცხოვრება. დღევანდელი სამეგრელო არ არის ისეთი ჩამორჩენილი ქვეყანა, როგორც ეს სურათშია წარმოდგენილი“, „...სურათზე ნაჩვენებია ადამიანები, რომლებიც ბედის ანაბარა არიან მიტოვებულნი. არ არსებობს არანაირი ორგა-

6 საქ. სახ.კინ.მრეწვთან არსებული სამხატვრო საბჭოს სხდომა. ფონდი-52; ან-1; საქ-1,2. ფ.10, 23.

7 ნუცა ლოლობერიძის ფილმის „უჟმური“ განხილვა. ფონდი-52; ანა-1; საქ-1,2; გვ. 18-23.

ნიმუშობა კაშხლის მშენებლობაში. ვერ ვხედავთ საბჭოთა მთავრობის მუშაობას, არ არის მოცემული უზარმაზარი კოლხეთის ჭაობების ამოშრობის და მშენებლობის დემონსტრირება. არ არის ასევე კულაკების მიმართ ორგანიზებული წინააღმდეგობა. გაუგებარია საიდან იწყება და სად მთავრდება ლეგენდა...“ და აშ. ლეო ესაკიას საბოლოო დასკვნაა - „...სურათი მასობრივ მაყურებელს არ მოეწონება. ის ასეთი აღმოჩნდა უხარისხო სცენარის წყალობით. ამას ყურადღება უნდა მიექცოდეს. ამხანაგი ლოლობერიძე პირველად მუშაობს მხატვრულ ფილმზე და მან თავისი სცენარით დაღუპა სურათი...“

სიტუაციის გამოსწორებას მაშინდელი სახ. კინ. მრეწვის დირექტორი ამბროსი თითბერიძე ცდილობს. „ეს სურათი არის პროპაგანდისტული ფილმის ბოლო - დასკვნითი ეტაპი. ამ ფილმის სცენარი წარმოიშვა აგითფილმების გამოსვლის დროიდან, შემდეგ იგი მრავალჯერ გადაკეთდა და დეფექტების გარეშე ვერ დარჩა.

ამ სცენარზე იმუშავეს: ეიბენშტეინმა, დოვჟენკომ და შკლოვსკიმ, მაგრამ მაინც დარჩა ძველის ნაშთები. აქ გამოთქმული მოსაზრებები არსებითად განსხვავებულია, ისინი სრულიად წინააღმდეგობრივია. ერთიც და მეორე მხარეც არასაკმარისად სწორად მსჯელობს. ამ სურათით, ჩვენ განსაკუთრებულად ვერ დავიკვებებით, მაგრამ ჯვრის დადებაც არ შეიძლება, ეს უკიდურესი იქნება. სურათში არის პოლიტიკური ხარვეზები, ისეთივე, როგორც იყო ფილმში „ჯიმ-შვანთე“, „ფილმში არის ტენდენცია აჩვენოს ყველა ის საშინელება, რაც მალარიას მოსდევს, რაც ცუდია. საშინელებები ნაკლებად უნდა ეჩვენებინათ და ამით ფილმი მოიგებდა. ეს ფილმი რეჟისორი ლოლობერიძის პირველი მხატვრული ნამუშევარია და მან აჩვენა, რომ შეუძლია მუშაობა. სურათი უნდა იქნას მიღებული“.

შემდეგ სიტყვით გამოდის თავად ნუცა ლოლობერიძე: „... და მე მდებენ ბრალს, რომ სცენარი არ იყო ძლიერი. როგორც არ უნდა იყოს, მე სცენარზე სრულად ვარ პასუხისმგებელი. ჩვენ ასეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ ვიმყოფებით გზავარდინზე, საიდანაც ყველა მიმართულება დამღუპველია. ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ რთულ მდგომარეობიდან გამოსვლას. მართალია, რომ მე მიჩვეული ვარ დოკუმენტურ ფილმებზე მუშაობას, ამას არ უარვყოფ და ვერც ვერაფერ ცუდს ვხედავ ამაში.

...სამწუხაროდ, თქვენ კვლავ ითხოვთ პროპაგანდისტულ ფილმს ჩვენგან, სადაც საბჭოთა სისტემის მუშაობის ყველა ასპექტები უნდა იყოს ნაჩვენები. მოითხოვთ ერთ სურათში ჩავატოთ ყველაფერი ის, რასაც აკეთებს პარტია და ხელისუფლება საბჭოთა კავშირში. თქვენს, რომ სურათში ბევრი საშინელებაა. მე ვაჩვენე რეალობა, ამ ადგილებში სწორედ ასეთი საშინელებაა, ჭაობების ამოშრობამდე იქ არაფერი იყო სასიამოვნო“.

საბოლოო დასკვნითი სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ მერკულოვს: „მე არ ვარ კინემატოგრაფიის სპეციალისტი. მაგრამ ვიცი, რომ სურათის საფუძველია სცენარი. ამ სურათის ყველა ნაკლი აშკარად სცენარიდანაა. სცენარზე პასუხისმგებელია არა მხოლოდ ავტორი, არამედ კინოფაბრიკის დირექციაც, რომელიც მას წარმოებაში უშვებს. ჩანს, რომ სცენარი არ იყო გასაგები, სურათში მრავალი უზუსტობაა. ბევრი უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ დავაკავშიროთ ერთი ეპიზოდი მეორესთან.

კოლხეთის პრობლემა ძალიან დიდი პრობლემაა, მაგრამ ის ფილმში არ აისახა. რეჟ. ესაკია მართალი იყო, როდესაც მან სურათის პოლიტიკურ შეცდომებსა და იდეოლოგიურ ჩავარდნებზე მიუთითა...“.

და შემდეგ მერკულოვი ფილმს აფასებს სწორედ საბჭოთა სისტემისთვის დამახასიათებელი აბსურდულობით: „...ფილმი არის გრძელი. პირველი ნაწილი დაძაბულად იყურება, მეორე ნაწილი კი საინტერესო ხდება“.

„... სურათი უნდა იქნას მიღებული ამხანაგების მიერ აქ გაკეთებული ყველა მითითების გათვალისწინებით. უნდა ვაღიაროთ, რომ სურათი მოსალოდნელზე ბევრად უკეთესი გამოვიდა“. გადაწყდა - ფილმი მიიღონ, რეჟისორმა კი გააკეთოს შესაძლო ტექნიკური შესწორებები მოცემული მითითებების საფუძველზე.

ფილმმა ადგილობრივი ცენზურა გაიარა და სავარაუდოდ, განსაკუთრებული წინააღმდეგობების გარეშე, ეკრანებზე გამოვიდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამჯერად მერკულოვის ასეთი შეფასების გამო, ნუცა ლოლობერიძე „ფიზიკურად გადარჩა“, მაგრამ ავის-მომასწავებელი სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელდება... პირველი ქართველი რეჟისორი ქალის არც ერთი მომდევნო სცენარი არ განხორციელებულა...

ეროვნულ არქივში ინახება ნუცა ლოლობერიძის რამდენიმე ლიტერატურული სცენარი მხატვრული

ფილმებისთვის - „პირველი ქალიშვილი“ (უთარილო), „ვის?“ - 1934 წელი და „წვრილმანი მსხვილმანები“ (1934 წელი).

კინოსცენარის - „პირველი ქალიშვილი“ (სცენარის ორი ვარიანტია, რომლებიც არსებითად არ განსხვავდება. თარიღი არ აწერია).<sup>8</sup>

მოკლე შინაარსი ასეთია - ახალგაზრდა გოგონა ელო, საიდუმლოდ შეყვარებულია ახალგაზრდა მფრინავზე, სახელად - გოგი. გოგონა ბავშვურად მიამიტი და გაუბედავია, ამიტომ მისი გრძნობების შესახებ არავინ არაფერი იცის. მოქმედება ხდება ზღვისპირა რაიონში. ელოს დაჟინებული თხოვნით, ზღვის სანაპიროზე კოლმეურნეობა გააშენებს განსაკუთრებული ჯიშის ვარდების პლანტაციას (Назавныкская Роза). ვარდის ეს ჯიშში გამოირჩევა სურნელოვანი ეთერზეთებით, რომელზეც მედიცინაში ძალიან დიდი მოთხოვნაა. ელოს მზრუნველობით, ვარდებმა უხვად იყვავილეს და კოლმეურნეობა ასახელეს. ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება სტატიები ელოს წარმატებაზე, რის გამოც ის მეტად თავდაჯერებული ხდება.

ერთხელაც ელო გაიგებს, რომ მთებში თვითმფრინავებმა კატასტროფა განიცადეს. დაკარგულ მფრინავთა შორისაა გოგი. გოგის სასოწარკვეთილი დედა ელოს სთხოვს, მოუყვეს სიმართლე, თუ რა მოხდა მთაში. ელო იტყუება, რომ გოგი გადარჩა და კარგადაა. თავად კი, მთამსვლელებთან ერთად, მის მოსაძებნად მიდის, პოულობს მასაც, დანარჩენ მფრინავებსაც და ყველას ცოცხალს ჩამოიყვანს. დასასრულს, ელო გოგისთან ერთად თვითმფრინავით ზემოდან გადაჰყურებს გარემოს. შემდეგ პარაშუტით ხტება.

ეს ნუცა ლოლობერიძის მხოლოდ ლიტერატურული სცენარია, არავინ იცის, როგორი ფილმი გამოვიდოდა. უცნობია, თუ როგორი სახის შენიშვნები და ჩასწორებები შეიტანა სამხატვრო საბჭომ სცენარში და როგორ გაგრძელდა მასზე მუშაობა. ერთი რამ კი აშკარად ჩანს, რომ სცენარში არ არის არც ერთი უარყოფითი პერსონაჟი, მორცხვ გოგონას შრომა, სიყვარული და თავგანწირვა თამამ, გაბედულ გმირად აქცევს.

ნუცა ლოლობერიძის შემდეგ პროექტზე საუბარი

შორიდან უნდა დავიწყო. 1933 წელს „სახკინმრეწვის“ სამხატვრო საბჭოს სხდომაზე შედის გოგი გუგუნავას სცენარი „ხიდი ენგურზე“.<sup>9</sup>

მოქმედება დიდი ხნის წინათ, სვანეთში მიმდინარეობს. სოფელში ფარჯიანებს კუთვნილ საგვარეულო რელიკვიას - ქვაბს პარავენ, რის გამოც თემი ეკლესიაში საჯაროდ დაწყევლის უცნობ მძარცველს, რომელმაც ქურდობა გაბედა.

გადის წლები. ფარჯიანების ახალგაზრდა ვაჟ ბიძინას, რომელიც სამაგალითო კომკავშირელია, შეუყვარდება მდინარე ენგურის გადაღმა სოფელში მცხოვრები გოგუცა - სარტმანის ქალიშვილი. მათ სიყვარულს გულშემატკივრობს გოგუცას მეზობელი და ბიძინას ბავშვობის მეგობარი კომკავშირელი ბაჟუ. საქორწილო სამზადისას, ბაჟუ სარტმანის სახლში ნახავს ფარჯიანების მოპარულ რელიკვიას. ამ ამბავს ბაჟუ ბიძინას უყვება და აქ იღვიძებს სვანური წარმართული სამაგალითოდ დასჯის სურვილი. სარტმანი ფერმაში ხანძარს გააჩენს, რის შემდეგ იწვევა ფერმა, ცხოველები, მათ შორის, მოპარული ქვაბი და მდინარე ენგურზე გადებული, ორი სოფლის დამაკავშირებელი ხიდი. ორივე გვარი ერთმანეთს სამკვდროდ უპირისპირდება. შურისძიების მიზნით, სარტმანი ხიდთან დახვდება ბაჟუს და მდინარეში აგდებს, ხალხში კი იტყვის, რომ ბაჟუ ბიძინამ მოკლა. ბიძინა ჩუმად ხვდება გოგუცას და ისიც უყვება სიმართლეს მამის შესახებ. ბიძინა და გოგუცა ერთად გადაარჩინენ ბაჟუს და ყველასთვის ყველაფერი ნათელი ხდება.<sup>10</sup>

1933 წლის 16 ივლისს, „სახკინმრეწვთან“ არსებული სამხატვრო ლიტსაბჭოს სხდომაზე სცენარი წარდგენილი სახით უარყვეს, რადგან „სცენარში მხოლოდ იდეალიზებული სვანეთია წარმოდგენილი, რომელიც გადადის წმინდა ეგზოტიკაში და აგებულია თითქმის მხოლოდ ძველი ყოფის ჩვენებით, ხოლო ყოფითი პრობლემები ნაჩვენებია არა სოციალურ-კლასობრივი ბრძოლის კონტექსტში“.<sup>11</sup>

1934 წლის 11 ივნისს, „სახკინმრეწვის“ ფაბრიკის სხდომაზე გადაწყდა - „2. მხედველობაში ვიღებთ რა, წუწუნავას უპასუხისმგებლო და საბჭოთა ხელოვნა-

8 ლიტერატურული სცენარი, ფონდი-52; ან-2; საქმე-4589; გვ. 1-20.

9 ლიტერატურული სცენარი, 16.07.1933-23.07.1934 წელი, კ.სტუდ. და სამხატვრო-პოლიტ. საბჭოს სხდომების ოქმები და სტენოგრ. ანგარიშები. ფ.-52, ან.-2, საქ.-174.

10 სცენარს აკლია 31,32,33,34 გვერდები.

11 ლიტერატურული სცენარი, ფ.-52, ან.-2, სა.-174.

ნისათვის შეუფერებელ განცხადებას, მასზე რომ, იგი უარს ამბობს როგორც დამდგმელის და სურათის იდეოლოგიურ მხარეზე პასუხისმგებელი ფილმისა „ხიდი ენგურზე“, შეუჩერდეს მას სცენარის გადაკეთების ნება და ჩამოერთვას მას სცენარი; 3. ფილმის „ხიდი ენგურზე“ დადგმის უფლება გადაეცეს რეჟისორ ლოლობერიძეს. ფილმის გადაღების მოსამზადებელი სამუშაოები შეჩერდეს და ჯგუფი დაიშალოს. გადამღებ ჯგუფში ჩათვალოს მხოლოდ რეჟ: ნ. ლოლობერიძე“.

არსებობს კინოფაბრიკის სხვა სხდომის ოქმებიც, რომლებშიც ამ სცენარით ფილმის გადაღებაზე წუწუნავა უარს ამბობს. „... ამ სცენარზე მე პასუხს არ ვაგებ, რადგან მე ვიცი, რომ სცენარში არის გარკვეული უაზრობა ისეთი მომენტები, რომლების დაშვებაც დღეს არ შეიძლება.“<sup>12</sup> (ოქმში ეს სტრიქონები ხაზგასმულია).

„... მე ამ სცენარს ხელი მოვკიდე იმიტომ, რომ ის მოსკოვმა დაამტკიცა, მაგრამ არ დაუმტკიცებია, რომ წუწუნავამ ამ სცენარის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მხარეზეც პასუხი უნდა აგოსო, იმ დროისათვის მე მოსკოვში არ ვყოფილვარ“ (ეს ადგილიც ხაზგასმულია).

1934 წლის 26 ივლისს, კინოფაბრიკაში ჩატარებულ სხდომაზე, ნუცა ლოლობერიძე ამბობს, რომ კინოფაბრიკის გაკეთებული ჩასწორებები სცენარისათვის „ხიდი ენგურზე“, მისთვის სავსებით მისაღებია და ამ შესწორებებს სულ სხვა სიბრტყეში გადაჰყავს საქმე.

საინტერესოა, რა სახის ჩასწორებები გააკეთა სცენარში და იყო თუ არა ისინი „პოლიტიკურად და იდეოლოგიურად მისაღები“ მაშინდელი ცენზურისთვის? ფაქტია, რომ ამ სცენარით არც წუწუნავას, არც ლოლობერიძეს და არც ვინმე სხვას ფილმი არ გადაუღიათ.

ნუცა ლოლობერიძის კიდევ ერთი განუხორციელებელი პროექტია სცენარი ფილმისათვის „ვის?“<sup>13</sup>. ეროვნულ არქივში ამ სცენარის მხოლოდ განხილვას მივაგენი. სახ. კინ. მრეწვის სამხატვრო ბიუროს სხდომა დათარიღებულია 1934 წლის 26 მაისით.<sup>13</sup> სცენარის ავტორები: ნუცა ლოლობერიძე და ილო მოსაშვილი. რადგან სცენარი არ არსებობს, შეგვიძლია, მხოლოდ განხილვაზე გამოსული მომხსენებლების სიტყვებიდან, დაახლოებით მივხვდეთ, თუ რა შინაარსის უნდა ყოფილიყო სცენარი.

სავარაუდოდ, მოქმედება მიმდინარეობს ჰიდ-

როელექტროსადგურის მშენებლობისას. წარმოებაში მუშაობენ - ფრიდონი და მისი მეგობარი მახარე. მშენებლობაზე რაღაც კონფლიქტი ხდება, ამას გარდა, ალბათ, ფრიდონს ცოლი მახარესთან ლალატობს და ჩნდება ბავშვი. ფრიდონი შურისძიების მიზნით, ბავშვს მდინარეში აგდებს და შემდეგ თვითონვე გადაარჩენს.

„ამხ. მოსაშვილი - ჩვენ გვყავს ოთხი მოქმედი პირი და ერთი ბავშვი. პირველ ნაწილშივე უნდა გაირკვეს, მათი დამოკიდებულება ურთიერთ შორის. ერთერთ დიდ მშენებლობაზე რაღაც საფრთხეს მოვლიან, მთელი ძალა მობილიზებულია საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აქვე არიან ჩვენი გმირებიც“.

„ამხ. მდივანი - თემა აგებულია ორ კონფლიქტზე: პირველი იკვანძება წარმოებაში და მიზნად ისახავს ძველი ტრადიციების ნაშთების გავლენას წარმოების ინტერესებზე, ხოლო მეორე - შეიცავს ბავშვის ისტორიას“.

„ამხ. ბენაშვილი - რატომ შორდება ქალი ქმარს? რამ მოხიბლა იგი ისე, რომ ქმარი გაცვალა სხვა მამაკაცზე?“.

„ამხ. მდივანი - ძველი ტრადიციის მატარებელი ფრიდონი ბავშვს გადააგდებს მდინარეში, ხოლო გარდაქმნილი ფრიდონი ამ ბავშვს იხსნის... ..ბავშვის გადარჩენა შედეგი იყო ფრიდონის გარდაქმნის...“

„ამხ. ლოლობერიძე - არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი, ამ საკითხებს ცხოვრება აყენებს დღის წესრიგში, მაგრამ გადაჭრილი პასუხი მათზე ჯერ არ მოიპოვება. ჩვენ ვაყენებთ ასეთ პრობლემას და გვსურს მისი დაახლოებითი გადაჭრის მოცემა“.

წარდგენილი სახით თემა მიუღებლად ჩათვალეს. შენიშვნები სხვადასხვა იყო, მაგრამ ამხანაგ ბენაშვილის შეფასება მართლა ზუსტად ახასიათებს ნუცა ლოლობერიძის შემოქმედებას: „ავტორებს სურთ, რომ არც ერთი უარყოფითი ტიპაჟი არ გამოიყვანონ და ისე მოგვცენ ძველ ტრადიციებთან ბრძოლა და ამით დაძლევა, ეს გაუმართლებელი და მიუღებელი მოვლენაა“. რა ბედი ეწია მომავალში სცენარს „ვის?“ - უცნობია....

რატომ გახდა ნუცა ლოლობერიძისთვის ლალატისა და ბავშვის გადარჩენის თემა, 1934 წელს, ასეთი მნიშვნ-

12 ლიტერატურული სცენარი ფ.-52, ან.-2, სა.-174. 12. 16.07.1933-23.07. 1934 წელი.

13 „ვის?“ განხილვა. ფონდი-52; ან-1; საქ-4; ფურც-25-26.

ნელოვანი? იქნებ „ცხოვრებამ უკვე დააყენა მის წინ ეს საკითხი“? და „მისი გადაჭრის“ მცდელობაც ამ თემაზე მუშაობა იყო? ან იქნებ ერთგვარ წინათგრძობასავით ჰქონდა, რომ სულ რამდენიმე წელში, შვილთან დაშორების თემა, მის ცხოვრებაში ყველაზე ტრაგიკული და საბედისწერო აღმოჩნდებოდა?!

1934 წლის 29 დეკემბერს, განსახილველად შედის ნუცა ლოლობერიძისა და ილო მოსაშვილის კიდევ ერთი სცენარი „მსხვილმანი წვრილმანები“. საბჭომ სცენარის ჩასწორება მოითხოვა და ამ სახით არ მიიღო.<sup>14</sup> არსებობს „მსხვილმანი წვრილმანების“ სცენარი, უთარილოდ. ვერ ვიტყვით, ის სხდომის შენიშვნების გათვალისწინებითაა გადაკეთებული, თუ პირველი ვარიანტია, მაგრამ მეორე სათაურად აწერია „აღლისფერი ვარდი“.<sup>15</sup> სცენარის ავტორად უკვე ს. ჯალიაშვილია მითითებული.

სიუჟეტი ასეთია – სამკერვალო ფაბრიკის დირექტორ სერგეი სერგეის ძეს მეგობარი სამხედრო გაეხუმრება და დილით კაბინეტში ხელმოუწერელ წერილს დაუტოვებს, რომელშიც ოპერის თეატრთან, საღამოს 8 საათზე შეხვედრას სთხოვს. იმისთვის, რომ იცნოს, გულზე წითელი ვარდი ექნება დამაგრებული. საღამოს 8 საათზე სერგეი დანიშნულ ადგილას მიდის. ოპერასთან დაინახავს ლამაზ, ცისფერთვალე გოგონას, რომელსაც გულზე წითელი ვარდი აქვს დამაგრებული. ასევე ნახავს მეგობარ სამხედროსაც, გულზე წითელი ვარდით. სერგეი მეგობარზე გაბრაზდება და გაქცევა უნდა, მაგრამ სამხედრო ირინასა და სერგეის ერთმანეთს გააცნობს. სერგეი გოგონათი მოიხიბლება. მეორე დღეს, თავისივე ფაბრიკაში შეკერილ საუკეთესო კოსტიუმს ჩაიცვამს და ირინას შეხვდება. მდინარის პირას წყვილი ერთმანეთს კენჭების სროლაში ეჯიბრება. სერგეი დაიხრება და შარვალზე ღილი ასწყდება. აქედან იწყება მისი ტანჯვა – მთელი საღამო ცდილობს, შარვალი ხელით დაიჭიროს, რომ არ ჩასძვრეს. როდესაც გოგონას სახლამდე მიაცილებს, მასთან ავა, თანამშრომლებს ურეკავს და მეორე დილით, 8 საათისთვის მთელ განყოფილებას იბარებს. მიზეზი კი ისაა, რომ მათ ფაბრიკაში შეკერილ ტანისამოსის არც ერთი ღილი არ ვარგა და ამის გამო ყველა უნდა დაისაჯოს.

ფილმი, ვფიქრობ, მოკლემეტრაჟიანი კომედია

უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც მას ეღირსა განხორციელება. ეს ეროვნულ არქივში დაცული, ნუცა ლოლობერიძის ბოლო პროექტია...

შემდეგ იყო ბევრი ტკივილი, დამცირება, გაჭირვება, გამოუვალი მდგომარეობა... მიზეზი ნუცა ლოლობერიძის მეუღლე, ცნობილი საბჭოთა პარტმუშაკი, ლევან ლოლობერიძე იყო. ის, როგორც სხვა არა ერთი მისი თანამებრძოლი, თავადვე იქცა „თავისიანების მსხვერპლად“. ლევან ლოლობერიძე 1937 წელს დააპატიმრეს და მოგვიანებით დახვრიტეს. ახალგაზრდა ნუცა ლოლობერიძე ბავშვთან ერთად ბინიდან გამოასახლეს, შემდეგ კინოსტუდიიდანაც გამოუშვეს. 1937 წლის მიწურულს დააპატიმრეს და 10 წლით ქალთა საკონცენტრაციო ბანაკ „პოტმა-ში“, შემდეგ ვორკუტის ქალთა საკონცენტრაციო ბანაკში „ჩესეირი“ (ჩლენ სემი იბმენნიკა როდინი – член семьи изменника родины) გადაასახლეს. სასჯელს იმ ათასობით ქალთან ერთად იხდიდა, რომლებიც სასამართლოს განაჩენის გარეშე იყვნენ დაპატიმრებული, როგორც „მტრები“ ან „მტრების“ ცოლები. მისი ფილმები, ისევე როგორც მისი განუხორციელებელი სცენარები – აკრძალეს და გადამალეს.

„ამ უბედურ სივრცეში, გაყინული მდინარის ახლად მოთოვლილ ზედაპირზე მოდიოდა თოთხმეტი ქალი. თუმცა ქალი პირობითად თუ დაერქმეოდა ამ უცნაურ მაჯლაჯუნებს და არც სიტყვა მოდიოდა უდგებოდა მათ გაჭირვებულ ბაჯბაჯს ყინულზე.“

გარედან ქალებს დაბამბული, გაპოხილი, გამოხუნებული ბუშლატები ეცვათ და ისეთივე შარვლები. მესამე ვადისა ერქვა ამ სხვის ნაცვამ ტანსაცმელს, რომელიც უკვე მესამე ხელში გადადიოდა სახმარად. ხოლო შიგნით, ტანზე... ვინ აღწერს იმას, რაც ამ ქალებს ტანზე ეცვათ ან შემოხვეული ჰქონდათ: პერანგი, კაბა, ქვედატანი, ზედატანი, ჟაკეტი, მოსახვევი, პირსახოცი, ფერად-ფერადი კონკები – ყველაფერი, რაც კი გაბადია და რაც კი შეიძლება ჩაიცვა ან შემოიხვიო, რომ ორმოცგრადუსიან ყინვას გაუძლო, განსაკუთრებით, როცა პურგა დაუბერავს და ერთბაშად უკან ჩაგებრუნებს სუნთქვას. მაშინ ქარის სუსხი ძვლებამდე გატანს და უბეში სუფთად შენახული პურის ნაჭერიც კი იყინება და გემოს კარგავს.“<sup>16</sup>

14 ლიტერატურული სცენარი, ფონდი-52; ან-1; საქ-6, ფ-12.

15 ლიტერატურული სცენარი, ფონდი-52, ან.-2, საქ.-4685.

16 ლოლობერიძე ლ., რაც მაგონდება, 2018, გვ. 89.

შემდეგ კი, როდესაც სასჯელის ვადა ამოიწურა, უკან დაბრუნებულმა ნუცა ლოლობერიძემ – „დაივიწყა“ წარსული, პროფესია და ხელახალი ცხოვრების დაწყება შეძლო. მაგრამ უსაზღვრო ნიჭის და შესაძლებლობების ადამიანს, შემოქმედებითი ინსტინქტი მოსვენებას არ აძლევდა. არც გადატანილი ტკივილის დავიწყება იყო იოლი. ამიტომ მოთხრობების წერა დაიწყო. დაწერა სულ ნ მოთხრობა, რომელთაც თვითონ დოკუმენტურ-მხატვრულს უწოდებდა. კინოში მუშაობის გაგრძელება აღარ უცდია და ან კი ვინ დააბრუნებდა რეპრესირებულს?! „ხალხისა და სამშობლოს მტრის“ შემოქმედებასა და მასზე ინფორმაციასაც კი დიდი ხნით ტაბუ დაადეს.

80-ზე მეტი წელი დასჭირდა ნუცა ლოლობერიძის სახელის უკან დაბრუნებას. „შემოქმედების რეაბილიტაციის შემდეგ“ აღმოჩნდა, რომ 25 წლის ნუცა ლოლობერიძე საქართველოში პირველი რეჟისორი ქალი

და საბჭოთა კავშირში პირველი მხატვრული ფილმის დამდგმელი ქალი ყოფილა. მისი ფილმები, ლიტერატურული სცენარები და მოთხრობები საკვება ადამიანური თანაგრძნობით, სითბოთი და სიცოცხლის სიყვარულით. და ვინ იცის, რომ არა საბჭოთა სისტემა, რომ არა სასტიკი რეპრესიები და უსამართლოდ დაკარგული წლები, რამდენი ოცნების განხორციელებას შეძლებდა და რამდენი საინტერესო ამბავი გვექნებოდა დღეს მოსაყოლი...

ნუცა ლოლობერიძე, მრავალი წლის შემდეგაც ჩვენს მეხსიერებაში დარჩება ერთგულების, სიყვარულის, სიმტკიცის და მიმტევებლობის სიმბოლოდ. მის თავგადასავალში კონცენტრირებულია ჩვენი ქვეყნის ისტორია, ეპოქის მთელი ტრაგეზმი, როგორც იმ მრავალრიცხოვან რეპრესირებულთაგან ერთ-ერთი, უსამართლობას შეწირული ბედი.

#### ბამოყენებული ლიტერატურა:

- გოგოძე კ., წერილი ნ. ლოლობერიძის გარდაცვალების გამო 3. 09. 1966 წელი. ფონდი-169; 4; ან-552; ფურ-1-2., საინფორმაციო ბიულეტენი. (26.02.1930წ) ფ-284, ან-1, საქ-1709
- ეროვნულ არქივი. საარქივო მასალა. ბიოგრაფიული ცნობები. ფონდი-141, ან-1; საქმე-956; გვ-18
- ლიტერატურული სცენარი ფ.-52, ან.-2, სა.-174. 12. 16.07.1933-23.07.1934 წელი.
- ლიტერატურული სცენარი „მსხვილმანი წვრილმანები“. ავტორები: ნ. ლოლობერიძე, ი. მოსაშვილი. ფონდი-52; ან-1; საქ-6, ფ-12.
- ლიტერატურული სცენარი, ფონდი-52; ან-2; საქმე-4589; გვ-1-20.
- ლიტერატურული სცენარი, 16.07.1933-23.07.1934 წელი, კ.სტუდ. და სამხატვრო-პოლიტ. საბჭოს სხდომების ოქმები და სტენოგრ. ანგარიშები. ფ.-52, ან.-2, საქ.-174.
- ლიტერატურული სცენარი, ფ.-52, ან.-2, სა.-174.
- ლიტერატურული სცენარი, ფონდი-52, ან.-2, საქ.-4685.
- ლიტერატურული სცენარის ორი ვარიანტი „მსხვილმანი წვრილმანები“ („ალისფერი ვარდი“), ავტორი ს. ჯალიაშვილი. ფონდი-52, ან.-2, საქ.-4685.
- ნუცა ლოლობერიძის ფილმის „უჟმური“ განხილვა. ფონდი-52; ანა-1; საქ-1,2; გვ-18-23.
- ნუცა ლოლობერიძის ფილმის „უჟმური“ განხილვა. ფონდი-52; ან-1; საქ-1,2. ფ.10, 23, ( 15.04.1933რ.)
- ნუცა ლოლობერიძის ფილმის „უჟმური“ განხილვა. ფონდი-52; ან-1; საქ-1,2. ფ.10, 23., საქ. სახ.კინ.მრეწვთან არსებული სამხატვრო საბჭოს სხდომა. ფონდი-52; ან-1; საქ-1,2. ფ.10, 23.
- სცენარის „ვის?“ განხილვა. ფონდი-52; ან-1; საქ-4; ფურც-25-26.
- ლოლობერიძე ლ., რაც მაგონდება და როგორც მაგონდება, ფრაგმენტი ნუცა ლოლობერიძის მოთხრობიდან „ვალსი პეჩორაზე“, 2018, გვ 89.





ნუტა  
NUTSA



უჰმური  
UZHURI

# NUTSA GHOGHOBERIDZE: LOST YEARS AND SCRIPTS

Eka Kontridze

**Keywords:** *Georgian cinema. Nutsa Ghogoberidze*

**Illustrations:** *pp. 148*

**N**utsa (Nino) Khutsishvili-Ghogoberidze. The first Georgian female film director for whom the notions of courage, responsibility, and love of people were of importance. It could be that she did not even think about heroism, but just honorably fulfilled her social obligations and lived righteously. She stood unflinching in the face of violence, ever in possession of the faculty of love, loyalty, perseverance and forgiveness.

Nutsa graduated with honors from the Tbilisi Gymnasium, then from the Tbilisi State University Department of Philosophy, and the Department of Philosophy of the University of Jena, Germany. She studied Russian, German, and French. Upon returning to her homeland, she linked her life to the realm of cinema and made three films: documentaries *Their Kingdom* and *Buba*, and the feature film *Uzhmuri* (*Grumpy*).

However, these films were known to a limited audience. The name of Nutsa Ghogoberidze, as well as her films, remained lost for many years from the history of Georgian cinema. Now, though, due to the improved access to archival files, I have managed to collect information about Nutsa Ghogoberidze.

The first film mentioned in her filmography is *Their Kingdom* (1928) featuring Mikheil Kalatozishvili and art director David Kakabadze. In the document from the National Archives-Biographical information about directors, assistant directors, and cameramen working at the Georgian State Film Industry (*Sakhkinmretsvi*)—we read: “Ghogoberidze Nino, Bartolome’s daughter. Played in the Menshevik epic *The New Pilot*.”<sup>1</sup>

The National Archives also contains a letter dated 1966 from Karlo Gogodze, which reads: “The film 18-28, co-directed by Nutsa Ghogoberidze, reflecting the cul-

tural and economic development of the Georgian SSR, is a landmark work of the Georgian documentary cinema of the 1920s.”<sup>2</sup>

I believe that *The New Pilot* and 18-28 must be the working titles of the film *Their Kingdom*. A film brought from a Russian film repository a couple of years ago, in a box labeled *Their Kingdom* (premiered at the National Archives cinema room in November 2020), is just a documentary chronicle, and is neither a “Menshevik epic” nor reflecting “the process of Georgia’s cultural and economic development”. I hope that the joy of discovering *Their Kingdom* by Nutsa Ghogoberidze and Mikheil Kalatozishvili is yet to come.

The next film by Nutsa Ghogoberidze was a 5-part documentary, *Buba*, in 1930. Screenwriter Nutsa Ghogoberidze, art director David Kakabadze, cameraman Sergey Zabozaev, actors: Petre Chichinadze and residents of the Ghebi village of the Racha region of Georgia.

*Buba* is one of Racha’s highest peaks. Its name was chosen as a title for the film. This propagandist piece of cinematic work, on the one hand, acquaints us with the beautiful nature of Racha, its healing waters, and, on the other hand, describes the hard life of the Ghebi village and the mountainous segment of Racha in general. The method of confronting the old with the new was the essential form of the Soviet “agitfilm” (propagandist film). *Buba* is a marvelous example of experimentation and creative exploration, categorically distinct from the style of “embellished cinema” of Soviet life.

The only mention about this film in the National Archives is the “bulletin of the Georgian State Film Industry (*Sakhkinmretsvi*)” that reads: *Buba*, a cultural feature film. Screenplay and direction Nino Ghogoberidze. The

1 National Archives. Fund - 141; record - 1; case - 956. (ფ.-141, ა-1; სსქ.-956).

2 National Archives. Fund - 169; a-4; record -4; case- 552. (ფ.-169; ა-4; სსქ.-552).

film is finished and will be released in February”.

In 1933-1934, Nutsa Ghogoberidze worked on the feature film *Uzhmuri* (Grumpy). Screenplay by Shalva Dadiani and Nutsa Ghogoberidze, cameraman Shalva Apakidze, art directors Petre Otskheli and Mikheil Got-siridze. Cast: Kote Daushvili, Merab Chikovani, Nutsa Chkheidze, Ivlița Jorjadze, Elisabeth Cherkhezishvili, and others.

In the National Archives I stumbled on a shorthand record of a screenplay and film that said that Nutsa was asked to make an expressly “socially realistic” film about drying up a swamp in the Colchis lowlands.

Legend has it that the Colchis swamp is protected by a green queen, a big toad called *Uzhmuri*. Anyone approaching the swamp ends up snatched by the keeper toad and drowned in the swamp.

Nutsa Ghogoberidze did a neat job fitting the legend into the storyline of the film and the idea of “successful building of the Soviet system”. During the discussion of the film, the director clarified the episode of the legend as follows: “In my film, I sought to expose the political and economic reference to the origin and significance of the legend. At a time when the kulak, a wealthy peasant, is incapable of physically resisting the Soviet system, he resorts to an alternative means of struggle, and opposes it ideologically. And here his resistance becomes stronger than purely physical”.<sup>3</sup>

On April 15, 1933, a meeting of the Arts Council resolved: “The submitted version of the script shall be considered as fully appropriate for production”.<sup>4</sup> The hearing of the given script took place again on September 29, 1933, which resolved: “October 15 shall be set as the final date for the completion of *Uzhmuri* by the Sakhkinmretsvi Arts Council. On October 20, the film shall be sent to Moscow together with Ghogoberidze and Apakidze”.<sup>5</sup>

Apparently, the film seemed to be finished and ready to be submitted to the main censorship body in Moscow. But on October 21, 1933, day after the official date of departure to Moscow, another “meeting of the Arts Council” was held. It is noteworthy that the chairman of the session was Vsevolod Merkulov, 1st rank commissioner

of state security.

The first to speak at the discussion was comrade Mgaloblishvili: “... Initially, the script was made for a cultural film, but then, as it was decided to shoot a feature film instead, the script underwent through numerous adaptations because of its cultural style.... If we take into consideration the whole story behind the script, we should then admit that the final version of the film turned out well”.<sup>6</sup>

Comrade Shengelaia: “... She employed a wise, conscious, and artistic, within her capabilities, approach working on the film. We can ascertain that as a director she has great taste and good mastery... in the best conditions, she is capable of creating a full-fledged, highly artistic picture”.

The speech delivered by film director Leo Esakia was different from all his predecessors: “I disagree with the other comrades that have conveyed their opinion at this meeting. My stance is to assess the film from the perspective of ordinary viewers,” and here begins a kind of evaluation markedly different from that of the ordinary viewer, and indicates the presence of “ideological drawbacks”.

“The ideological value of a film is not just about reflecting life, but about the reflection of purpose as well. We show Colchis in a social contest, and it should be admitted that the emphasis of this picture is wrong, for it misrepresents reality and points to an incorrect direction. Everyday life depicted in the film does not reflect the life of the contemporary Samegrelo”.

“The film shows people abandoned at the mercy of fate. ... We cannot see the work of the Soviet government. There is no demonstration of the draining of the vast Colchis swamps and the huge follow-up construction activity, nor is shown the organized resistance of kulaks. It is unclear where the legend begins and where it ends...”

Esakia’s conclusion says: “... the mass audience will not like the film, as a result of its poor script. This issue had to be addressed. Comrade Ghogoberidze is working on his first feature film and has ruined it with his

3 National Archives. Fund - 284; record -1; case-1709. (ფ.-284; აბ-1; ბაქ-1709).

4 Ibid (ფ.-52; ა-1; ბაქ-1,2).

5 Ibid.

6 Ibid.

script....”

Ambrosi Titberidze, Director of Sakhkinmretsvi, attempts to save the day: “This is the final stage of a propaganda film... People that have been working on this script are Eisenstein, Dovzhenko, and Shklovsky. Yet it still has some old parts left. The views stated here differ substantially and are completely contradictory. The reasoning of both sides is not accurate enough. ... The picture has political flaws, similar to those that were in the film *Jim Shvante* (Salt for Svaneti). ... This is the first feature film of director Ghoghoberidze that has proven his ability as a filmmaker. The release of the film should be granted”.

Nutsa Ghoghoberidze’s speech at the meeting was bold and uncompromising: “And I am accused of writing a poor script. Be that as it may, I am fully responsible for the script. We are at a crossroads with all the directions being disastrous. It is only now that we are starting to get out of this complicated situation. Unfortunately, you are still demanding from us a propaganda film that highlights all aspects of the work of the Soviet system. “You want us to put in a single film everything that the party and the government are doing in the Soviet Union”.

The final word belongs to comrade Merkulov: “I am not a cinema specialist. I know, though, that the script is what constitutes the basis of the picture. All the flaws in this film clearly come from the script. Not only the author is responsible for the quality of the script, but also the management of the cinema factory that puts it into production. ... Director Esakia was right when he pointed to the political mistakes and ideological failures of the picture”.

And then he evaluates the film precisely with the absurdity that pertained to the Soviet system: “The film is long. Despite tension in the first part, the second part is, however, interesting. ... Let us admit that the film has turned out much better than expected”.

The picture passed the censorship board was released. We may assume that such an assessment by Merkoluv helped Nutsa Ghoghoberidze to “survive physically”. Yet that deceptive calm did not last long. In the fu-

ture, none of her scripts were allowed to be materialized.

Nutsa Ghoghoberidze’s three literary scripts for feature films are kept in the National Archives: *Pirveli Kalishvili* (The First Daughter) (undated), *Vis* (To Whom) (1934,) and *Tsvrilmiani Mskhvilmanebi* (Small Big Things) (1934).

The script for *The First Daughter*<sup>7</sup> is the following: A young girl Elo, secretly in love with a young pilot named Gogi. At Elo’s insistence, the Collective Farm plants a bed of a special rose variety on the seashore. These roses, marked for their fragrant essential oils and highly sought after in medicine, bloom lavishly with the care of Elo and brought credit to the Collective Farm, which made her confident.

A plane crashes in the mountains near the city. Gogi happens to be among the missing pilots. Elo goes with the rescue team of climbers and succeeds in bringing all the pilots back alive.

This is just a literary script. No one can say what kind of film could have been made from it. It is unknown what remarks and corrections were made to it by the Arts Council and why it was ultimately cancelled. Still, one thing is clear that the script has no negative characters; all of them are hardworking, kind and humble.

With regard to another project of Nutsa Ghoghoberidze, I have to start talking about it from afar. In 1933, Gogi Gugunava’s script *Bridge on the Enguri*,<sup>8</sup> submitted to the Saqkinmretstivi Arts Council, got rejected “as it only idealizes Svanetia and the existing issues are not shown in the context of social-class struggle”.<sup>9</sup>

Presumably, the management of Sakhkinmretsvi took the script from the author and began looking for another director. From the minutes of the meeting we learn that Alexandre Tsutsunava was also offered to shoot the film. Gugunava’s script had already been significantly altered and approved in Moscow, but Tsutsunava still refused to do the film.

The meeting of Sakhkinmretsvi from June 11, 1934, resolved: That permission to shoot the film *The Bridge on Enguri* be granted to director Ghoghoberidze. The crew shall be disbanded and director N. Ghoghoberidze be

7 National Archives. Fund-52; record-2; case-4589 (ფ.-52; აბ-2; საქმტ-4589).

8 Ibid (ფ.-52, აბ.-2, საქმ.-174).

9 Ibid.

considered a member of the crew“.<sup>10</sup>

At the meeting of Sakhkinmretsvi on July 26, 1934, Nutsa Ghogoberidze said: “The corrections made by the film factory to the script for *The Bridge on Enguri* are completely acceptable and these corrections translate the case into an entirely different dimension”.

It is interesting to find out what specific corrections Nutsa made to the script and whether they were “politically and ideologically acceptable” for the censorship at the time. However, the fact suggests that neither Tsutsunava nor Ghogoberidze, nor anyone else made a film with this scenario.

Another unfulfilled project of Nutsa Ghogoberidze is the film *To Whom*, written by Nutsa Ghogoberidze and Ilo Mosashvili. At the National Archives I only found the minutes of the Sakhkinmretsvi’s meeting dated May 26, 1934.<sup>11</sup> The participants’ comments, though, help to understand the content.

The action takes place in a small town, during the construction of a hydroelectric power plant. A man named Fridon and his friend Makhare work at the construction. A conflict breaks out and the situation escalates. Next the storyline reveals that Fridon’s wife had been cheating on him with Mkhare. She bears a child. Out of revenge Fridon steals the child and throws him into the river, but then saves the child himself.

Discussing the scenario, Nutsa Ghogoberidze explains: “There is a host of issues that have not been solved yet; the issues that life puts on its agenda, but gives no ready solution. We discuss the problem and want to provide an approximate way of dealing with it”.

Why was the issue of betrayal and child saving so important to Nutsa in 1934? Perhaps “life had trialed her with it the past”, and addressing this topic was her attempt of “solving” it? Or could it be that she had a sort of premonition that in just a few years she would experience separation from her child which would turn into the most tragic and fateful event of her life?

The presented form was considered unacceptable. Among the variety of remarks, evaluation by comrade Benashvili was an indeed accurate portrayal of Nutsa

Ghogoberidze’s work: “The authors do not want to introduce any negative character and show the struggle with the old traditions and overcoming them in this manner. This is unjustified and unacceptable approach”.

The further destiny of the script for *To Whom* remains unknown....

On December 29, 1934, another script for Mskhvilmani Tsvrilmenebi (*Big Small Things*) by Nutsa Ghogoberidze and Ilo Mosashvili was sent to Sakhkinmretsvi.<sup>12</sup> There is one more version of *The Big Small Things*, slightly different and undated. I cannot say if this script had been modified according to the remarks of the meeting, or it’s just the version mentioned above, but its working title reads “*Alisperi Vardi (Scarlet Rose)*”.<sup>13</sup>

The story goes: A friend of Sergey Sergeevich, director of a garment factory, plays a practical joke on him, leaving in the morning an unsigned letter in his office that asks for appointment at the Opera House at eight in the evening. Sergey is told to recognize the stranger by a rose fixed to his chest. Sergey goes to the rendezvous. At the opera he sees a beautiful blue-eyed girl with a red rose on her heart. But at the same time he notices his friend that too had come with a red rose on his chest. The friend introduces Sergey to the girl named Irina. He becomes fascinated by her. The next day Sergey puts on the best costume sewn in his own factory to meet Irina. The pair strolls down to the river and competes in throwing pebbles into the water. Sergey leans over and a button on his pants pops off. That’s where trouble begins, as he struggles to keep the pants on holding them by the hand for the rest of the evening. Consequently, a “small lousy button” turns into a “big headache” for Sergey.

The film was envisioned as a short, light comedy, but did not come to life. This is the last project of Nutsa Ghogoberidze recorded in the National Archives...

Then there was a lot of pain, humiliation, misery. All this ill-fortune came to pass because the husband of Nutsa Ghogoberidze, prominent Soviet party worker Levvan Ghogoberidze himself became a “victim of his own people”. He was arrested and executed in 1937. Nutsa Ghogoberidze was evicted from her apartment, fired

<sup>10</sup> Ibid.

<sup>11</sup> National Archives. Fund-52; record-1; case-4 (ფ.-52; აბ-1; სსტ-4).

<sup>12</sup> Ibid, record-1; case-6 (ფ.-52; აბ-1; სსტ-6).

<sup>13</sup> Ibid, record-2; case-4685 (ფ.-52, აბ.-2, სსტ.-4685).

from the studio, and her films, together with unrealized scripts, were stashed away. Later, she was arrested and deported to a women's concentration camp for ten years.

When the repressions were over and the sentence expired, Nutsa Ghoghoberidze that had returned home “forgot” the past. She summoned inner strength to start a new profession and life. Nutsa made no attempts to continue working in the cinema, for even if she tried to, who would admit a former camp prisoner back to filmmaking?! Having been labeled “a public enemy”, her works and information about her became tabooed.

It took as many as eighty years to resuscitate Nutsa Ghoghoberidze's name. It turned out that after the “rehabilitation of her works”, despite the censorship of the Soviet epoch, her literary scripts and stories are full of human compassion, warmth, and love for life.

Even after the lapse of many years Nutsa Ghoghoberidze will stay in our memory as a symbol of loyalty, love, strength, and forgiveness. The vicissitudes of her life embody the history of our country, the whole tragedy of the era, the fates of the multitude of victims sacrificed by injustice.

#### REFERENCES:

- გოგოძე კ., წერილი ნ. ლოლობერიძის გარდაცვალების გამო 3. 09. 1966 წელი. ფონდი-169; 4; ან-552; ფურ-1-2., საინფორმაციო ბიულეტენი. (26.02.1930წ) ფ-284, ან-1, საქ-1709
- ეროვნულ არქივი. საარქივო მასალა. ბიოგრაფიული ცნობები. ფონდი-141, ან-1; საქმე-956; გვ-18
- ლიტერატურული სცენარი ფ.-52, ან.-2, სა.-174. 12. 16.07.1933-23.07.1934 წელი.
- ლიტერატურული სცენარი „მსხვილმანი წვრილმანები“. ავტორები: ნ. ლოლობერიძე, ი. მოსაშვილი. ფონდი-52; ან-1; საქ-6, ფ-12.
- ლიტერატურული სცენარი, ფონდი-52; ან-2; საქმე-4589; გვ-1-20.
- ლიტერატურული სცენარი, 16.07.1933-23.07.1934 წელი, კ.სტუდ. და სამხატვრო-პოლიტ. საბჭოს სხდომების ოქმები და სტენოგრ. ანგარიშები. ფ.-52, ან.-2, საქ.-174.
- ლიტერატურული სცენარი, ფ.-52, ან.-2, სა.-174.
- ლიტერატურული სცენარი, ფონდი-52, ან.-2, საქ.-4685.
- ლიტერატურული სცენარის ორი ვარიანტი „მსხვილმანი წვრილმანები“ („ალისფერი ვარდი“), ავტორი ს. ჯალიაშვილი. ფონდი-52, ან.-2, საქ.-4685.
- ნუცა ლოლობერიძის ფილმის „უჟმური“ განხილვა. ფონდი-52; ანა-1; საქ-1,2; გვ-18-23.
- ნუცა ლოლობერიძის ფილმის „უჟმური“ განხილვა. ფონდი-52; ან-1; საქ-1,2. ფ.10, 23, ( 15.04.1933წ.)
- ნუცა ლოლობერიძის ფილმის „უჟმური“ განხილვა. ფონდი-52; ან-1; საქ-1,2. ფ.10, 23., საქ. სახ.კინ.მრეწვთან არსებული სამხატვრო საბჭოს სხდომა. ფონდი-52; ან-1; საქ-1,2. ფ.10, 23.
- სცენარის „ვის?“ განხილვა. ფონდი-52; ან-1; საქ-4; ფურც-25-26.
- ლოლობერიძე ლ., რაც მაგონდება და როგორც მაგონდება, ფრაგმენტი ნუცა ლოლობერიძის მოთხრობიდან „ვალსი პეჩორაზე“, 2018 წ., გვ 89.